საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლელა საჯაიას

ა ნ გ ა რ ი შ ი

უფლებამოსილების ცნობიდან (2014 წლის 2 აგვისტო) დღემდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ

2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად პროპორციული წესით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნებიდან“ ამირჩიეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად, ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს პირველ სხდომაზე საკრებულოს წევრებმა 37 ხმით ამირჩიეს საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (2014 წლის აგვისტოდან დღემდე) ჩემს საქმიანობას წარვმართავ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

კომისია შექმნილია დებულებით დადგენილი საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს, გამგეობის სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით.

კომისია:

- სამუშაო გეგმის შესაბამისად შეიმუშავებს, განიხილავს და საკრებულოს სხდომისათვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს;
- წინასწარ განიხილავს საკრებულოში შემოტანილ, მის სფეროს მიკუთვნებულ, საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს; ამზადებს დასკვნებს,ორგანიზებას უწევს და/ ან მონაწილეობს მათ განხილვაში;
- ისმენს საკრებულოსადმი ანგარიშვალდებულ ორგანოთა და თანამდებობის პირთა ანგარიშებს;
- განიხილავს იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურებს, რომელსაც ირჩევს (ათავისუფლებს) და/ან რომელთა დანიშვნაზეც (განთავისუფლებაზეც) თანხმობას იძლევა საკრებულო და დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს;
- განიხილავს თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის, პრიორიტეტების დოკუმენტის, მუნიციპალური პროგრამების და ბიუჯეტის პროექტებს და შეიმუშავებს დასკვნებს;

- აკონტროლებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;
- აკონტროლებს გამგეობის შესაბამისი მიმართულების სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობას, ისმენს მათ ანგარიშებს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებს და შეფასებებს;
- იღებს გადაწყვეტილებას კომისიასთან საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ;
- ახორციელებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით, საკრებულოს დავალებით და საკრებულოს კომისიის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;
- გამგეობის და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირები კომისიის მოთხოვნით ვალდებულები არიან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და და სხვა მასალები და დაესწრონ კომისიის სხდომებს, პასუხი გასცენ სხდომაზე დასმულ შეკითხვებზე და წარადგინონ გაწეული საქმიანობის ანგარიში;
- საკრებულოს კომისიების საქმიანობას კოორდინაციას უწევს და კომისიის სამუშაო გეგმებს ამტკიცებს საკრებულოს ბიურო.

კომისია განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს:

- განათლების, კულტურის და სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ტურიზმის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების შესახებ.
- ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარულ-ეპიდემოლოგიური მომსახურების საკითხების შესახებ;
- თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მოსახლეობის დამატებითი სოციალური მომსახურების დაფინანსების შესახებ;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობების დადგენის შესახებ;

კომისიის თავმჯდომარე:

- საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიის სამუშაო გეგმას, უზრუნველყოფს სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას;
- იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს და წარმართავს კომისიის სხდომას;
- არის კომისიის წარმომადგენელი, გამოდის კომისიის სახელით საკრებულოში და მის ფარგლებს გარეთ;
- ანაწილებს ფუნქციებს კომისიის წევრებს შორის;
- აძლევს დავალებებს კომისიის წევრებს;
- კომისიის სხდომაში მონაწილეობისათვის იწვევს ადგილობრივი თვითმმართველობის და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს, ექსპერტებსა და სპეციალისტებს;
- აკონტროლებს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას;
- საკრებულოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
- ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, დასკვნებს, რეკომენდაციებს და კომისიის სხდომის ოქმებს; (ოქმში აისახება კომისიის დღის წესრიგში შემავალი საკითხები, ყველა წამოყენებული წინადადება, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება;)
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით,რეგლამენტით და კომისიის დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;

- კომისიის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე;

2014 წლის 12 აგვისტოს საკრებულოს II სხდომაზე დავამტკიცეთ კომისიის შემადგენლობა 31 ხმით. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრა 13 წევრით. ესენი გახლავთ: ვლადიმერ ვადაჭკორია, ბონდო ღლონტი,როზეტა სკამკოჩაიშვილი, ბიძინა გობრონიძე, ლევან კილაძე, გოჩა კილაძე,ლალი სიჭინავა, ტიტე მგელაძე, პაატა მანჯგალაძე, ზაზა გობრონიძე, ლელა ნაცვალაძე და შალვა დოლიძე;

2014 წლის 27 აგვისტოს საკრებულოს III სხდომაზე დავამტკიცეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულება.

კომისიის სხდომები ტარდება რეგულარულად და ორგანიზებულად. განხილული საკითხები პასუხობს დებულების მოთხოვნებს. საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 12 სხდომა(მათ შორის 1 ერთობლივი სხდომა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან ერთად). კომისიამ განიხილა 28 საკითხი. სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები წარედგინა საკრებულოს ბიუროს. აქედან რამდენიმე საკითხი განხილულ იქნა საკრებულოში, რომელმაც ასახვა ჰპოვა შესაბამის დადგენილებებში;

მოგახსენებთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, ერთგვაროვან ფუნქციათა დაჯგუფების გამო საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში მუშაობდა 3 სამუშაო ჯგუფი:

ა) განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხთა სამუშაო ჯგუფი (უფროსი:როზეტა სკამკოჩაიშვილი. წევრები: ლ. სიჭინავა, ტიტე მგელაძე, ლევან კილაძე.);

ბ) სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების საკითხთა სამუშაო ჯგუფი (უფროსი:ლელა ნაცვალაძე, წევრები: ვლადიმერ ვადაჭკორია, გოჩა კილაძე, პაატა მანჯგალაძე.);

გ) სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის საკითხთა სამუშაო ჯგუფი (უფროსი:შალვა დოლიძე; წევრები: ბონდო ღლონტი, ზაზა გობრონიძე, ბიძინა გობრონიძე).

თითოეულმა ჯგუფმა სერიოზული სამუშაო გასწია მიკუთვნებული საკითხების შესასწავლად. მათ კომისიაში წარმოადგინეს დასკვნები განსაზღვრული მიმართულებების განვითარების შესახებ, რომლებიც დადასტურებულია შესაბამისი ოქმებით;

კომისიამ გეგმის შესაბამისად განიხილა:

1. დროებითი სამუშაო ჯგუფების შექმნა. ჯგუფის ხელმძღვანელების არჩევა. კომისიის წევრთა შორის ფუნქციების განაწილება.
2. განახორციელა შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლებთან კომისიის დებულებაში ცვლილებების შესახებ, მიიღო და გაითვალისწინა რეკომენდაციები;
3. შეისწავლა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების არსებული წესი.
4. განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსის ანგარიში 2014 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
5. ცვლილებების შესატანად შეისწავლა და განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის დებულება .
6. შეისწავლა და განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულება.

7. შეიმუშავა და საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად წარუდგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის კომისიის გეგმა.
8. ა(ა)იპ ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად განახორციელა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მდგომარეობა.
9. შეისწავლა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების დემოგრაფიული მონაცემები.
10. დაგეგმა და მონაწილეობის ორგანიზება უზრუნველყო სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებული ღონისძიებები მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში ა(ა)ი.პ ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი"ს წარმომადგენლებთან ერთად.
11. მოისმინა ა(ა)ი.პ ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი"ს დირექტორის ა. მექვაბიშვილის ანგარიში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.
12. სკოლამდელი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებულ ბაღებში ჩაატარა კვლევა.
13. ურეკის საზაფხულო სეზონთან დაკავშირებული ღონისძიების ,,ჩვენ, მზე და ლურჯი ზღვა"-პროგრამა განიხილა გამგეობის შესაბამის სამსახურთან ერთად. განახორციელა პროგრამის ანალიზი, წარმოადგინა შენიშვნები, სამსახურს მისცა რეკომენდაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
14. განიხილა კურორტ ,,გომისმთაზე" ,,ალპინიადა"-ს ღონისძიების პროგრამა. განახორციელა პროგრამის ანალიზი, წარმოადგინა შენიშვნები, სამსახურს მისცა რეკომენდაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
15. განიხილა და დაამტკიცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურული ღონისძიებების პროგრამა.
16. განიხილა ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის კულტურის ცენტრის სტრატეგიული გეგმა.
17. მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების სტრატეგია შეიმუშავა კულტურის სამსახურთან ერთად.
18. მოისმინა გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. განახორციელა ანგარიშის ანალიზი, წარმოადგინა შენიშვნები, სამსახურს მისცა რეკომენდაციები განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.
19. დაგეგმა და ჩაატარა ტრადიციული სახალხო დღესასწაული ,,ექვთიმეობა" მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურებთან ერთად.
20. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების თანამშრომლებთან ერთად შეისწავლა ახალგაზრდულ საქმიანობებში დაგეგმილი ღონისძიებები.
21. მოისმინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ანგარიში.
22. მოისმინა, შეაფასა და შესაბამისი დასკვნით წარმოადგინა ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.
23. მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურებთან ერთად განახორციელა საახალწლო საჩუქრების გადაცემა სოციალურად დაუცველ ოჯახებზე, ლტოლვილებზე,მრავალშვილიან ოჯახებზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე და ას წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე.

24. კომისია სისტემატურად უზრუნველყოფდა შემოსული წერილების, განცხადებების და პროექტების განხილვას.
25. კომისია იკვლევდა მოსახლეობის ინტერესებს კომისიის უფლებამოსილების სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე.

მიუხედავად გაწეული საქმიანობისა, აღსანიშნავია, რომ კომისიის 2014 წლის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული ღონისძიებებიდან ვერ განხორციელდა:

1. ასკანის ციხის დასუფთავებისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება გამგეობის შესაბამის სამსახურებთან ერთად.
2. ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანების სტრატეგიული გეგმის განხილვა.
3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ადგილების აღრიცხვა-დასუფთავებისთვის ჩასატარებელი საორგანიზაციო ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება გამგეობის შესაბამის სამსახურებთან ერთად.
4. ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტისკულტურის ცენტრის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. შეფასება, დასკვნა.
5. ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტისსაზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. შეფასება, დასკვნა. ამის მიზეზად უსახსრობა შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან უსახსრობის გამო ვერ მოხერხდა ვერც ხსენებული ღონისძიებების ორგანიზება და ვერც ხსენებული ა(ა)იპ-ების დროული ჩამოყალიბება.

კომისია დიდ სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების ა(ა)იპ-ის შექმნა და იგი კულტურის ა(ა)იპ-ის დაქვემდებარებაშია. ვფიქრობთ და კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს პოზიციას სპორტის განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნის შესახებ. მიგვაჩნია, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა დიდად დააზარალებს სპორტის განვითარების საკითხს მუნიციპალიტეტში. ვიმედოვნებთ, რომ ახალი ბიუჯეტი საშუალებას მოგვცემს სპორტის განვითარებისათვის უკეთესი პირობები შევქმნათ. უმძიმეს მდგომარეობაშია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული სკოლები, რომელთა აღსაზრდელებსა და მწვრთნელებს ყურადღება და დაფინანსება სჭირდება. კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ მუნიციპალიტეტის სოფლები წარმოადგენენ ძირითად ძალას, რომლითაც ოზურგეთი აღწევდა წარმატებებს არა მარტო ქვეყნის მასშტაბით, არამედ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე. იმედია, ჩვენ არ ვიქნებით ის ხელისუფლება, რომელიც ყურადღების მიღმა დატოვებს სპორტულ ცხოვრებას და ხელს შეუშლის მუნიციპალიტეტში ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას და დამკვიდრებას. მიგვაჩნია ,რომ უნდა გაიზარდოს ახალგაზრდა და წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოებისა და წახალისების ფონდი, რომელიც ერთგვარი მოტივაცია გახდება ბევრი ნიჭიერი მოზარდისათვის. ამგვარი ღონისძიებებით შევძლებთ ბევრი ახალგაზრდის გადარჩენას და ჩამოცილებას გაუკუღმართებული და ავადსახსენებელი წესებისაგან , რომლებმაც მყარად მოიკიდეს ფეხი ჩვენს რეალობაში.

2014 წლის ნოემბერში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედმა კომისიებმა და ფრაქციებმა განიხილეს გამგეობის მიერ წარმოდგენილი ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი. მინდა ავღნიშნო, რომ ბიუჯეტის პროექტის განხილვას ჩვენმა კომისიამ მიუძღვნა 4 სხდომა. ეს პერიოდი ყველაზე აქტიური პერიოდი იყო ამ 4 თვიანი მუშაობის მანძილზე. არც ერთი საკითხი, რომლის განხილვა საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკიტხთა კომისიას ეხებოდა არ დაგვიტოვებია განსაკუთრებული ყურადღების გარეშე. ჩვენ მოვიწვიეთ ყველა სამსახურის ხელმძღვანელი

და მოვთხოვეთ წარედგინათ კომისიისათვის ყველა ის პროექტი, რომლის განხორციელებასაც ისინი მუნიციპალიტეტის თანხებით გეგმავენ. ვფიქრობთ, ჩვენმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და ბიუჯეტში შესწორებული სახით შევიდა ჩვენი ყველა შენიშვნა და ინიციატივა.

კომისიამ მხარი დაუჭირა ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს ინიციატივას 3000 ლარით დაფინანსდეს ყველა აბიტურიენტი, რომელიც მოიპოვებს 100%-იან გრანტს, ხოლო მისი სკოლა დასაჩუქრდეს 1000 ლარის ოდენობით.

პროექტის განხილვისას მომზადებული განმარტებები დასკვნის სახით წარედგინა საკრებულოს, რომელიც შემდეგ აისახა ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში.

2015 წლის ბიუჯეტზე მუშაობისას გამოიკვეთა ახალი ინიციატივები, რომლებიც წარმოადგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებულმა გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ (ხელმძღვანელი ლელა ნაცვალაძე). მათ წარმოადგინეს 2 პროექტი. პროექტი ,,კიბო განაჩენი არაა!" ეხება ონკოლოგიური სენით დაავადებულ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბენეფიციარებს. პროექტის ღირებულებაა 9790 ლარი და ის ითვალისწინებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ონკო-პაციენტების ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას და მათ საზოგადოებასთან ინტეგრირებას. მეორე პროექტი, ახალგაზრდები გენდერული პოლიტიკისათვის", რომლის ღირებულებაა 13270 ლარი, ითვალისწინებს მოზარდებს შორის მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივი თვითშეფასების ამაღლებას და ალტერნატიული ახალგაზრდული საკრებულოს შექმნას. ვწუხვარ, რომ ბიუჯეტში არ გამოინახა სახსრები დისტანციური სწავლების პროექტის განხორციელებისათვის (იდეის ავტორი ინგა დუმბაძე). დღეს ეს პროექტი მხოლოდ ურეკის საჯარო სკოლაში ხორციელდება. იმედი მაქვს, რომ იდეის ავტორები მიაღწევენ სასურველ შედეგს და ეს საკითხი მხოლოდ ექსპერიმენტის დონეზე არ დარჩება.

კომისიაში შესაბამისი სფეროს სამსახურებიდან სისტემატურად შემოდიოდა ინიციატივები, წინადადებები, პროექტები, ასევე განხორციელებული სამუშაოს შესახებ ანგარიშები. მინდა ხაზგასმით ავღნიშნო გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა, ასევე გამგეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურების, მათი უფროსების და სპეციალისტების მჭიდრო თანამშრომლობა კომისიასთან.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის და მიღების წესს, შეგახსენებთ, რომ იგი დამტკიცებული იყო წინა მოწვევის საკრებულოს მიერ. გამომდინარე იქედან, რომ 4 თვის ვადაში უკვე არსებული ბიუჯეტით ვერანაირ სიახლეს ვერ ვთავაზობდით საზოგადოებას, ვიხელმძღვანელეთ არსებული წესით.

ჩვენმა კომისიამ მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურთან ერთად შეიმუშავა სოციალური დახმარების გაცემის ახალი წესი, რომელიც საკრებულომ უკვე საჯარო განხილვაზე დააყენა და რომელსაც უახლოეს ხანებში მივიღებთ.

მინდა აღვნიშნო, რომ კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებები ჩატარდა. პირადად მონაწილეობა მივიღე თითქმის ყველა ღონისძიების დაგეგმვასა და ორგანიზებაში. ვესწრებოდი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილ თითქმის ყველა კულტურულ, სოციალურ, მასობრივ, საგანმანათლებლო და სანახაობრივ ღონისძიებას.

საანგარიშო პერიოდში რეაგირებისათვის დამეწერა სულ 3 წერილი და განცხადება. დამეთანხმებით ძნელი არ უნდა ყოფილიყო მათზე რეაგირება და სათანადო ღონისძიებების გატარება. ყველა მათგანზე კანონით გათვალისწინებულ ვადებში მოვამზადე პასუხი.

აღსანიშნავია ჩვენი და საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის თანამშრომლობა. მინდა სიამოვნებით დავსძინო, რომ თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ეს ორგანიზაცია გვაწვდის საინტერესო რეკომენდაციებს, რომელსაც დიდი ყურადღებით ვეცნობით და ვითვალისწინებთ კიდეც. (კონკრეტულად, გავიზიარეთ რეკომენდაცია მუნიციპალიტეეტის საკრებულოს კომისიის დებულებასთან

დაკავშირებით 2014წ. 22 აგვისტოს წერილი). რაც შეეხება მის მიერ მოწოდებულ საკრებულოს წევრის ანგარიშის ფორმას, ბოლომდე ვერ დავეთანხმეთ, თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ ამის გამო საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი არ გაწყვეტს ჩვენთან ურთიერთობად და მომავალშიც გააგრძელებს საქმიან და კონსტრუქციულ თანამშრომლობას. მიმაჩნია,რომ ასე უფრო მეტადაა შესაძლებელი ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება.ნამდვილად მახარებს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის საშუალებების აქტიურობა. ეს უფრო ნაკლებად მოგვცემს შეცდომის დაშვების შესაძლებლობას.

როგორც საკრებულოს წევრი ვმონაწილეობდი მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14-ვე სხდომის მომზადებასა და მუშაობაში. მახარებს ის ფაქტი, რომ საკრებულოს მიერ მიღებული 153 საკითხიდან არც ერთი საკითხი არ ყოფილა ისეთი, რომელზედაც ჩემი თანხმობა არ დამეფიქსირებინოს. მიმაჩნია, რომ საკრებულოს უმრავლესობა ობიექტურ, სამართლიან გადაწყვეტილებებს იღებს.

ვმონაწილეობდი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - ხუთივე სხდომის მუშაობაში.

- ვიყავი ინიციატორი ცვლილება შეგვეტანა სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებულ 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში საცხენოსნო კლუბ ,,მარულას “ დაფინანსებასთან დაკავშირებით.
- მხარი დავუჭირე სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის ,,მომავლის სხივის” დაფინანსებას მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების კონტიგენტის შესაბამისად.

2014 წლის სექტემბერში გავიარე USAID-ის დემოკრატიული მმართველობა საქართველოში(G3) პროგრამა, რომელმაც ხელი შეუწყო ადგილობრივი თვითმმართველობის ახლადარჩეული თანამდებობის პირებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ახალი ინფორმაციის მიწოდებას ,ცოდნის გაღრმავებას და ჩვენი საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებას.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების შესაბამისად 6 ჯერ შევხვდი ამომრჩევლებს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ -ტერიტორიულ ერთეულებში (სოფ. დვაბზუსა და გაღმა დვაბზუში, სოფელ ძიმითში და სოფელ შრომაში,სოფელ მაკვანეთსა და სოფელ ცხემლისხიდში), მოვისმინე მათი შენიშვნები და წინადადებები. სამუშაო დღეებში ყოველთვის მზად ვარ მივიღო მოქალაქეები. ვცდილობ დავეხმარო მათ პრობლრმის გადაჭრაში ან მივცე სასარგებლო რჩევა.

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოიკვეთა ძირითადი საკითხები:

ცხემლისხიდი-სასაფლაოზე მისასვლელი გზის მოწესრიგება;

მაკვანეთი-საბავშვო ბაღისათვის ინვენტარის შეძენა;

დვაბზუ-სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის შეშით დახმარება,შიდა გზების მოხრეშვა, გზის სავალ ნაწილზე ჩატეხილი მილის აღდგენა;

გაღმა დვაბზუ-შიდა გზების მოხრეშვა, სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარება;

ძიმითი-გაუმართავი ელექტრო ქსელი, ავარიული ელექტრო ბოძები;

2014 წლის 3 ნოემბერს ქ. თბილისში სასტუმრო რედისონში ვმონაწილეობდი საქართველოს საკრებულოს ქალთა ფორუმის მუშაობაში , რომელიც გაიმართა გაეროს პროექტის ფარგლებში: ”ქალებს შეუძლიათ მართონ ქვეყანა: ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად”. ფორუმის ორგანიზატორი იყო მუნიციპალური მომსახურების უზრუნველმყოფთა ასოციაცია (MSPA). 2014 წლის მოწვევის საკრებულოს წევრ ქალბატონების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ გაეროს წარმომადგენლები, შვედეთის ელჩი, სხვადასხვა დარგობრივი მინისტრები, პარლამენტის ვიცე-სპიკერი.ფორუმზე მიმოვიხილე საკრებულოების წინაშე წამოჭრილი პრობლემები და სამინისტროების წარმომადგენლებისაგან მივიღე მხარდაჭერა მათთან უშუალო კონტაქტით გაგვეგრძელებინა მუშაობა ყველა პრობლემურ საკითხზე.

2014 წლის სექტემბერში საჩხერის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა სოფელ პერევში ჩატარდა ქართული სამზარეულოს ფესტივალი, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებმა მიიღეს მონაწილეობა. ჩვენ, მუნიციპალიტეტის , ქალაქის მერიის, ქალთა საკონსულტაციო საბჭოსა და პრესის წარმომადგენლებმა წარმოვადგინეთ გურული სამზარეულო , სადაც უშუალოდ ჩვენს მიერ მომზადებული 3 გურული კერძი გახდა ფესტივალის გამარჯვებული;

მუნიციპალიტეტის სახელით 2014 წლის 16 ოქტომბერს ქ. თბილისში მ.ბერძენიშვილის საგამოფენო ცენტრში ,,მუზა" -ში მიწვეული ვიყავი ავთო თავართქილაძის პერსონალური გამოფენაზე.

ვმონაწილეობდი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში ქ.ფოთში. სადაც წამოვაყენე პრობლემა ლიხაურის ეკლესიის სამრეკლოს შესახებ. სააგენტოს წარმომადგენლებმა დიდი ყურადღება გამოხატეს საკითხის მიმართ. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ უკვე გამოაგზავნა სპეციალური კომისია,რომელმაც შეისწავლა სამრეკლოს პრობლემა და უახლოეს ხანებში მოგვაწვდის დასკვნას მასზე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ.

მინდა შევაფასო, რა შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში ჩემი საკრებულოს წევრად გახდომის შემდეგ. პოზიტივით მავსებს ის ფაქტი, რომ გავიცანი ბევრი საინტერესო ადამიანი; რომ საკუთარი თვალით ვხედავ პრობლემებს და ვზრუნავ მათი გადაჭრის გზებზე. ასევე უზომოდ მახარებს და ბედნიერს მხდის სხვისთვის გაწეული სამსახური; ავღნიშნავ, რომ მედალს ყოველთვის აქვს ორი მხარე, და სირთულეებიც მეტი ახლავს ჩემს ახალ პოზიციას. ესაა დროის დეფიციტი.ასევე ძნელია ის, რომ ვხვდები უამრავ გაჭირვებულს და ვერ ვახერხებ მათ დახმარებას. ასევე ვიტყოდი ,რომ საკმაოდ რთულია დაკისრებული პასუხისმგებლობის ტარება;

ხშირად ამბობენ, რომ დღეს ყველას უჭირს, მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს ერთი რამ: დახმარება მხოლოდ მატერიალურ შემწეობას არ გულისხმობს... რა თქმა უნდა, ადამიანს ესეც სჭირდება. მაგრამ ადამიანი უპირველესად სულიერ დახმარებას, თბილი სიტყვის თქმას, გამხნევებას, იმედის მიცემას საჭიროებს... მატერიალურ დახმარებაზე მეტად ზოგჯერ ადამიანს ასეთი სიტყვები სჭირდება: ნუ გეშინია, ყველაფერი შეიცვლება, ყველაფერი კარგად იქნება. ჭიქა წყალიც რომ მიაწოდო მწყურვალს, ესეც არ იკარგება ღვთის წინაშე... მიმჩნია, რომ არც ერთ თბილ და იმედის მომცემ სიტყვას არ დაგვივიწყებს უფალი... პავლე მოციქულიც ხომ გვმოძღვრავს: "ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი".